

შ.პ.ს „პალიასტომი - 2004“
გ. კრატასიუკის 15, 4400 ფოთი, საქართველო
e-mail: paliastomi2004@gmail.com
ტელეფონი: +995 593 468609



ID: 215103509

“PALIASTOMI - 2004” LTD
15, Kratasiuki str. 4400 POTI, GEORGIA
e-mail: paliastomi2004@gmail.com
Tel: +995 593 468609

49/22

07.09.2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს
ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

წარმოგიდგენთ შპს „პალიასტომი 2004“-ის განცხადებას, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, შპს „პალიასტომი-2004“-ის თევზის გადამამუშავებელი საწარმოს (საკვები პროდუქტების მწარმოებელი მულტიფუნქციური კომპლექსის) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. წარმოგიდგენთ ასევე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 25.08.2022 დათარიღებული N 21/4796 წერილის მოთხოვნათა შესაბამისად, განახლებული გზშ დოკუმენტაციის პაკეტს. წერილის დანართ 1-ში მოცემული არის ცხრილი, რომელშიც ასახულია სააგენტოს მიერ ფორმულირებული მოთხოვნები და ჩვენს მიერ განხორციელებული ცვლილებები

პატივისცემით,

შპს პალიასტომი-2004“-ის
დირექტორი



პაატა ჟღენტი

დანართი 1

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი კორექტივების ნუსხა და შესრულების სტატუსი

მოთხოვნა 1: დაზუსტებას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშში მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია, მათ შორის 2021 წლის 5 მარტისა და 2022 წლის 11 ივლისის გაცემული მშენებლობის ნებართვები.

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი:

გზშ-ს თავში 1.1 (გვ.10) მოცემული განმარტება შევსებულია და განვრცობილი. გზშ-ის ანგარიშის II ტომის დანართ 11-ში მოცემული არის ორივე ნებართვა. განმარტებას აქვს შემდეგი სახე:

05/03/2021 ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ბ50.50210642 გაცემულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში შპს „პალიასტომი - 2004“ -ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი: 45.15.21.312. ; დაზუსტებული ფართობი : 59747,00 კვ.მ.) თევზის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვა. დამატებით, იგივე მიწის ნაკვეთზე და იგივე პროექტის ფარგლებში, 2011 წლის ივლისის ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ბ50.50221921-ით გაცემულია ნებართვა საწარმოს საქვების და სანიტარული კვანძის მშენებლობაზე (იხ. დანართი 11: ნებართვები).

პროექტი ითვალისწინებდა 5000ტ-ზე ნაკლები მოცულობის თევზის გადამამუშავებას წელიწადში და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, არ საჭიროებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადებას და არც სკრინინგის პროცედურას.

მოთხოვნა 2. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს ამ ნაწილის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. არატექნიკური რეზიუმე არ არის წარმოდგენილი;

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: კომენტარი გათვალისწინებულია და გზშ დოკუმენტაციის ხელახლა წარმოდგენილ პაკეტში დამატებულია არატექნიკური რეზიუმე.

მოთხოვნა #3: არ არის წარმოდგენილი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: მონაწერი საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილია გზშ-ს განახლებულ პაკეტში.

მოთხოვნა 4: გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ თავში 1.2 („ზოგადი ინფორმაცია პროექტზე“) აღნიშნულია, რომ „შპს „პალიასტომი 2004“ ფლობს სამ მიწის ნაკვეთს (ს/კ 45.15.21.314; 45.15.21.310, 45.15.21.312) საერთო ფართობით 13,59 ჰა. აქედან, საწარმოს განსათავსებლად გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ 45.15.21.312) დაზუსტებული ფართობით 59747,00 კვ.მ.“ ხოლო თავში 4.4.2. („მიწის საკუთრება“) მითითებულია, რომ „მულტიფუნქციური კომპლექსი განლაგდება სამ მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართობით 13,59 ჰა., სამივე მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში: ს/კ 45.15.21.310, 45.15.21.312 და 45.15.21.314.“

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: უზუსტობა დაშვებული თავში 4.4.2 (გვ.173) გამოსწორებულია. სწორია თავში 1.2 მოცემული ფორმულირება: „შპს „პალიასტომი 2004“ ფლობს სამ მიწის ნაკვეთს (ს/კ 45.15.21.314; 45.15.21.310, 45.15.21.312) საერთო ფართობით 13,59 ჰა. აქედან, საწარმოს განსათავსებლად გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ 45.15.21.312) დაზუსტებული ფართობით 59747,00 კვ.მ.

მოთხოვნა 5: წარმოდგენილი Shp ფაილები მოიცავს

როგორც სამივე მიწის ნაკვეთს, ასევე საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა, საკადასტრო კოდ(ებ)ის მითითებით. ასევე გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად). შესაბამისად, საკადასტრო კოდით განსაზღვრული საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთ(ებ)ი და Shp ფაილი შესაბამისობაში უნდა იქნას ერთმანეთთან;

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: მოთხოვნის შესაბამისად განახლებული და Shp ფაილი წარმოდგენილია გზშ-ს დოკუმენტაციის განახლებულ პაკეტში.

მოთხოვნა #6: გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ ცხრილში 1-1 „საკონტაქტო ინფორმაცია“ (გვ. 16) აღნიშნულია, რომ სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში შეადგენს მინიმუმ 35 დღეს და მაქსიმუმ 167 დღეს. ამასთან, თავში 3.2.1 („თევზის გადმოტვირთვა“) აღნიშნულია, რომ წლის განმავლობაში აქტიური სამუშაო დღეების რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 167 დღეს (300 ტ ნედლეული დღეში) და ჯამში სამუშაო დღეების რაოდენობა არ აღემატება 260 დღეს.“ ხოლო თავში 5.1.3.1 („წყალმომარაგება“) მითითებულია, რომ „წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა იქნება 260 დღე.“ 23-ე გვ. ასევე მითითებულია „მაქსიმალური წარმადობა - 1440 ტ დღეში“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო დღეებისა და დღის განმავლობაში გადამუშავებული თევზის რაოდენობა;

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: საწარმოს დატვირთვა სამუშაო სეზონის განმავლობაში არ არის თანაბარი და დამოკიდებული არის თევზჭერის კონკრეტულ პირობებზე. განსაზღვრული არის თევზის მაქსიმალური წლიური მოცულობა, რისი გადამუშავების საშუალებაც აქვს საწარმოს.

წლიწადში 50 000 ტონაზე მეტი ნედლეული არ იქნება გადამუშავებული. მაქსიმალური დღიური დატვირთვა, რისი საშუალებაც აქვს საწარმოს, შეადგენს 1440 ტონას დღე-ღამეში. რეალურად ასეთი მოცულობა წლის განმავლობაში შეიძლება ერთ დღეს არ იქნას მოწოდებული გადასამუშავებლად. თუ ასეთი შემთხვევა მოხდა, ეს შეიძლება იყოს სულ 1-2, მაქსიმუმ სამი დღე წელიწადში (და ამის ალბათობაც ძალიან დაბალია). წინა წლების პრაქტიკიდან გამომდინარე, თევზჭერის მოსალოდნელი რეჟიმი არის საშუალოდ - 300 ტონა დღე-ღამეში. 300 ტონა დღე-ღამეში რეჟიმის პირობებში სამუშაო დღეების მოსალოდნელი (საშუალო) რაოდენობა შეადგენს 50 000: 300 = 167 დღეს. თევზჭერის კონკრეტული და ყოველ წელს განსხვავებული პირობებიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული რომ ყოველდღიურად მოწოდებული თევზის მოცულობა იყოს გაცილებით ნაკლები, ვიდრე 300 ტონა დღეში. შესაბამისად, 50000 ტონა თევზის მისაღებად შესაძლებელია საჭირო გახდეს გაცილებით მეტი დღეების განმავლობაში მუშაობა. ყოველდღიურად გადამუშავებული თევზის მასა შეიძლება იყოს საშუალოზე (300 ტონა დღე-ღამეში) ნაკლები, მაგრამ დღეების რაოდენობა იქნება მეტი. თევზჭერის სეზონური ხასიათის გათვალისწინებით, საწარმოს სრულფასოვანი ფუნქციონირება ნედლეულის მიღების და გადამუშავების თვალსაზრისით, შესაძლებელია 6 თვის განმავლობაში. სწორედ ამდენ ხანს (ოქტომბერი - მარტის პერიოდში) გრძელდება ქაფშიის აქტუირი რეწვა. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო დღეების რაოდენობა, რომლის განმავლობაში ხდება თევზის გადამუშავება არ აღემატებას 180 დღეს, ხოლო საშუალოდ კი შეადგენს 167 დღეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თევზის რეწვის სეზონის დასრულებისას საწარმო იხურება არ ანხორციელებს არავითარ საქმიანობას. არასარეწაო სეზონის პერიოდში დღეების გარკვეული რაოდენობა ეთმობა საწარმოს მოვლა-შეკეთების და შემდეგი სეზონისათვის მზადების ოპერაციებს. ამ დროს არ ხდება ნედლეულის გადამუშავება და პროდუქციის წარმოება, მაგრამ პერსონალის ნაწილი იმყოფება ტერიტორიაზე და წყალმოხმარების და საყოფაცხოვრებო წყლის ჩაშვების ანგარიშებში ეს პერიოდიც ნაანგარიშეა: კერძოდ, გათვალისწინებულია, რომ წელიწადში 167 დღის განმავლობაში (თევზჭერის პერიოდში) საწარმოში დასაქმებული პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 70 ადამიანი, ხოლო დანარჩენ პერიოდში (93 დღის განმავლობაში) 35 ადამიანი. წლის განმავლობაში სამუშაო დღეების საერთო რაოდენობა შეადგენს 260 დღეს. თევზჭერის პერიოდში სამუშაო რეჟიმი იქნება 3 ცვლიანი, ხოლო დანარჩენ პერიოდში 2 ცვლიანი.

გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას, გათვალისწინებული არის „უარესი შესაძლო სცენარის“ პრინციპი (worst case scenario). კერძოდ, მყისიერი ზემოქმედების მაქსიმალური დონის გასათვალისწინებლად, ზალპური გაფრქვევის და ზალპური ჩაშვების მახასიათებლები გაანგარიშებული არის მაქსიმალური შესაძლო დღიური დატვირთვის (საწარმოს წარმადობის) დონეზე და ასახავს დღე-ღამეში 1440 ტონა თევზის გადამუშავების შემთხვევას. წლიური გაფრქვევების და ჩაშვებების დასათვლად გათვალისწინებული არის, როგორც თევზის გადამუშავების მაქსიმალური ოდენობა (50 000 ტონა), ასევე სამუშაო დღეების (მათ შორის თევზის გადამუშავების გარეშე ფუნქციონირების დღეების) მაქსიმალური რაოდენობა, ანუ - 260 დღე.

შესაბამისი ცვლილებები შეტანილია: გზმ თავი 1.2. ცხრილი 1-1-ში; გზმ თავში 3.1 გვ. 22; თავში 3.2.1 გვ. 24; თავი 5.3.1 გვ. 181.

მოთხოვნა 7. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს მის მომზადებაში მონაწილე პირის/პირების მიერ, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (მისი არსებობის შემთხვევაში);

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: განახლებულ ვერსიაში კონსულტანტების ხელმოწერა დაფიქსირებულია.

მოთხოვნა 8. გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სამინისტროს 2021 წლის 30 ივლისის N40 სკოპინგის დასკვნით მოთხოვილი ინფორმაცია, კერძოდ ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: გზშ- დოკუმენტაციის განახლებულ პაკეტი მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოდგენილია.

მოთხოვნა 9. გზშ-ის ანგარიშში და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტში მოცემული წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები (წყალჩაშვების წერტილი N1: Y-720794 Y-4683742 და N2: X-720776; Y-4683739) და Shp ფაილებში მოცემული წერტილები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: ზდჩ-ს განახლებულ ვერსიაში ჩაშვების კოორდინატები გადამოწმებულია. წყალჩაშვების წერტილი N1: Y-720794 Y-4683742 და N2: X-720776; Y-4683739 კოორდინატები სწორია. გაუგებრობა გამოწვეული იყო წარწერებით. (წინა ვერსიაში ჩაშვების წერტილებთან ისრით მიერთებული იყო წარწერა და „ისარი“ აღიქმებოდა პოლიგონის ნაწილად, - მის გაგრძელებად, რაც გაუგებარს ხდიდა ჩაშვების წერტილის ლოკაციას). შეიპ ფაილებში გასწორებულია ჩაშვების წერტილების რეპრეზენტაციის ფორმა, რაც გამორიცხავს შევდომას ინტერპრეტაციისას. მე-3 ჩაშვების წერტილის კოორდინატებია X720635 Y4683664.

მოთხოვნა 10. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის პროგრამაში ექსპლუატაციის ფაზაზე დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყლის მონიტორინგის საკითხი;

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: 5.1.3.4 თავში, კვარტალური მონიტორინგის შესახებ მოთხოვნას იქვე გზშ-ში დაერთო მონიტორინგის ფორმები, რომლებიც მანამდე მხოლოდ ზდჩ-ს დანართებში იყო მოცემული.

მოთხოვნა 11. გზშ-ის ანგარიშში (გვ. 31 და გვ. 40) აღნიშნულია, რომ „გზშ-ის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი რაოდენობრივი გაანგარიშებები“, „ნარჩენების მართვის

საკითხები დეტალურად იქნება განხილული გზშ-ში.“ ვინაიდან სააგენტოში დოკუმენტაცია წარმოდგენილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით (მათ შორის გზშ-ის ანგარიში) აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას;

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: გზშ-ს განახლებულ ვერსიაში შეტანილია შესაბამისი კორექტივები და აღნიშნულია, რომ ნარჩენების მართვის გეგმა მოცემული არის გზშ-ს მეორე ტომში „დანართები“ (დანართი #8: „ნარჩენების მართვის გეგმა“)

მოთხოვნა 12. გზშ-ის ანგარიშში თავი 7.2 (სკოპინგის დასკვნაში წარმოდგენილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომენტარები და მათი ასახვა გზშ-ში) მოცემულია სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხები ერთიანი ცხრილის სახით, თუმცა აღნიშნულ ცხრილში მითითებული თავები და გვერდები არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშს;

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი: გზშ-ს განახლებულ ვერსიაში ცხრილი დაკორექტირებულია გვერდებზე მასალის საბოლოო განლაგების შესაბამისად.

მოთხოვნა 13. 143-ე და 174-ე გვერდებზე წარმოდგენილია „დასკვნებიდან ამონაწერები“, რაც დაზუსტებას საჭიროებს. ასევე გზშ-ის ანგარიშში კორექტირებას საჭიროებს შემდეგი წინადადება: „ცხრილი 2-1 -ში, ხოლო Error! Reference source not found.-ში მითითებულია სათანადო გარემოსდაცვითი სტანდარტები.“

შპს „პალიასტომი 2004“-ის პასუხი:

გვ 142 შეტანილია დამატებითი განმარტება: კვლევის ანგარიში სრული სახით მოცემული არის გზშ-ს ტომში 2 „დანართები“: დანართი 6. ტერიტორიის უსაფრთხოების კვლევა: გაუნადმავი ჭურვების ან სხვა აფეთქებად საშიში საგნების ტერიტორიაზე არსებობის კვლევის ანგარიში.

გვ 175-ზე არქეოლოგიური დასკვნის ამონაწერზე მითითებულია, რომ დასკვნა ერთვის გზშ დოკუმენტაციის პაკეტს. გზშ-ს ტომი 2 :დანართები: დანართი 10. არქეოლოგიური კვლევის დასკვნა;

Error! Reference source not found.-ში, ხოლო ცხრილში 2.2 მითითებულია სათანადო გარემოსდაცვითი სტანდარტები.